მოწყობილობის დანიშნულება

მოწყობილობა განკუთვნილია საყოფაცხოვრებო შენობებში ჰაერის გაგრილების, დაშრობისა და ვენტილაციისთვის.

უსაფრთხოების ტექნიკის წესები

- ინსტალაციის პროცესი უნდა განხორციელდეს მოცემული სახელმძღვანელოს შესაბამისად.
- საგარანტიო მომსახურების უფლების დაკარგვის თავიდან ასაცილებლად, მოწყობილობის დამონტაჟებამდე ყურადღებით გაეცანით ინსტრუქციას.
- მოწყობილობის შეერთებამდე დარწმუნდით, რომ მასზე მითითებული ძაბვა შეესაბამება ადგილობრივი დამიწებული ელექტროქსელის ძაბვას.
- მოწყობილობის დამონტაჟება და დამიწება უნდა განხორციელდეს კვალიფიციური სპეციალისტების მიერ.
- არასწორმა ინსტალაციამ ან დამიწებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მომხმარებლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
- დაამონტაჟეთ მოწყობილობა სწორ, მყარ ზედაპირზე.
- ამ მოთხოვნის შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს ანომალიური ვიბრაცია, ხმაური ან მოწყობილობის დაზიანება.
- დარწმუნდით, რომ მოწყობილობა არ არის დაბლოკილი სხვა საგნებით.
- არ გამოიყენოთ კონდიციონერი დაზიანებული ელექტროკვების კაბელით.
- დაზიანებული კაბელის შეცვლის საკითხზე მიმართეთ ავტორიზებულ სერვის ცენტრს.
- არ შეაერთოთ კონდიციონერი გაუმართავ როზეტში.
- არ გამოიყენოთ გადამყვანები და დამაგრძელებლები.

ყურადღება: აალების საფრთხე! არ დაამონტაჟოთ კონდიციონერი:

◦ ღია ალთან ახლოს;

◦ ზონებში, სადაც შესაძლებელია კონდიციონერზე წყლის შხეფების, ზეთის და ქიმიურად აქტიური ნივთიერებების მოხვედრა;

◦ მზის პირდაპირი სხივების ზემოქმედების ზონებში;

◦ სააბაზანო და საშხაპე ოთახების ან საცურაო აუზების მახლობლად;

◦ მაღალი ტენიანობის ზონებში.

- მოწყობილობასთან ახლოს არ განათავსოთ ადვილად აალებადი მასალები ან სითხეები.
- მოწყობილობა აღჭურვილია გორგოლაჭებით გადაადგილების გასაადვილებლად.
- არ გადააადგილოთ მოწყობილობა ხალიჩაზე და არ გადაატაროთ იგი საგნებზე, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს მოწყობილობის გადაყირავება.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა დავარდნის შემდეგ, ხილული დაზიანებების ან მუშაობაში შეფერხებების არსებობისას.
- დაუყოვნებლივ გამორთეთ მოწყობილობა, გათიშეთ იგი ქსელიდან და მიმართეთ ავტორიზებულ სერვის ცენტრს.

- არ შეეხოთ მოწყობილობას სველი ან ნოტიო ხელებით.
- დაიცავით მოწყობილობა ტენიანობის ზემოქმედებისგან.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისა და შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირების მიერ გამოსაყენებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი სხვა პირების მიერ, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მათ უსაფრთხოებაზე.
- არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- ბავშვებმა არ უნდა განახორციელონ მოწყობილობის გაწმენდა და ტექნიკური მომსახურება უფროსების ზედამხედველობის გარეშე.
- გაწმენდისა და მომსახურების წინ გამორთეთ მოწყობილობა და გათიშეთ იგი ქსელიდან.
- არ გაატაროთ შნური ხალიჩის ქვეშ ან ავეჯის ქვეშ.
- არ დაბლოკოთ მოწყობილობის შემსვლელი და გამომსვლელი ღიობები.
- გამოიყენეთ მოწყობილობა და მისი კომპლექტაცია მხოლოდ დანიშნულებისამებრ.
- მართვის პანელზე ღილაკებს დააჭირეთ მხოლოდ თითებით.
- არ დაშალოთ მოწყობილობა და არ მოხსნათ ფიქსირებული დეტალები.
- არ ჩართოთ და არ გამორთოთ მოწყობილობა ჩანგლის როზეტში შეერთებით ან გამოერთებით.
- ყოველთვის გამოიყენეთ მართვის პანელზე არსებული გადამრთველი.
- კონდიციონერის გასაწმენდად არ გამოიყენოთ საშიში ქიმიური ნივთიერებები, რომლებიც შეიძლება შევიდნენ კონტაქტში მოწყობილობასთან.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა ფეთქებად ნივთიერებებთან ან აორთქლებებთან ახლოს, როგორიცაა სპირტი, ინსექტიციდები, ბენზინი და ა.შ.
- კონდიციონერი ყოველთვის უნდა იმყოფებოდეს ვერტიკალურ მდგომარეობაში, მათ შორის ტრანსპორტირების დროსაც.
- კვების ქსელიდან მოწყობილობის გათიშვისას ხელით გეჭიროთ ჩანგალი, არ დაქაჩოთ კაბელი.
- გამორთეთ მოწყობილობა, თუ ის არ გამოიყენება.
- არ დაუშვათ რაიმე საგნების მოხვედრა კონდიციონერის ჰაერგამომშვებ გისოსში.
- არ დაჯდეთ ხელსაწყოზე და არ დადოთ მასზე არანაირი საგნები.
- ნუ შეეცდებით მოწყობილობის დამოუკიდებლად შეკეთებას. მიმართეთ ავტორიზებულ სერვის ცენტრს.
- კვების შნურის გადახურების საფრთხის თავიდან ასაცილებლად, ყოველთვის სრულად გაშალეთ იგი.
- ელექტროკვების როზეტში, რომელშიც შეერთებულია კონდიციონერი, არ შეაერთოთ სხვა ელექტროხელსაწყოები.
- მოწყობილობის გამორთვის შემდეგ დაელოდეთ 3 წუთი მის ხელახლა ჩართვამდე.